სილქნეტი
SILKNET

№ 1269/24-6

"11" 05 2022

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს
მის: ქ. მცხეთა, ანიოქიის ქ. N7
საქართველო, მცხეთა 3300
საკონტაქტო ტელ: (+995 32) 2513200

ბატონო დიმიტრი,

თქვენგან შემოსული წერილის (N 34-342212539 - 06/05/2022) პასუხად, გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული ნახაზის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე, ს/კოდი: N72.06.03.043.027 (მიწის ფართობის გამოყოფის ადგილზე), გადის სს „სილქნეტის" საკუთრებაში არსებული მიწიქვეშა კომუნიკაცია, რომელიც დატანილია თანდართულ CD-დისკზე SHAPE-ფაილის ფორმატით, ასევე მოცემულია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე. ასევე გაცნობებთ, რომ მოცემული კომუნიკაციის ხაზოვანი ნაგებობა ს/კოდი: N72.00.679-ით რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

იმ შემთხვევაში, თუ მომავალი მფლობელი აღნიშნულ ტერიტორიაზე დააპირებს მიწის გათხრით სამუშაოებს, იგი ვალდებული იქნება:

- ამ სამუშაოების ამსახველი პროექტი შეათანხმოს სს „სილქნეტთან".
- სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენლის ელექტრონული ფოსტა (Info.Center@silknet.com), ოპერატიული სამსახურის ნომრები: 2950029 ან 2932740.

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/11753
20/07/2021

11753-2-03-2-202107201412

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **გიორგი კაპანაძეს**

ბატონო **გიორგი**,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2021 წლის 30 ივნისის №34-3421181315 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ საგურამოში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამიას საავტომობილო გზის კმ5-ის მიმდებარედ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ. N72.06.03.043.027) **ნაწილი ფართის - 500კვ.მ** მიწის ფართობის რომელიც მდებარეობს საავტომობილო გზის ღერძიდან 13 მეტრის დაშორებით (წარმოდგენილი SHP ფაილის და სიტუაციური ნახაზის მიხედვით) გამოყოფისა და აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული უძრავი ქონებიდან (ს/კ. N72.06.03.043.027) **ნაწილი ფართის - 500კვ.მ** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის და სიტუაციური ნახაზის მიხედვით) განკარგვა.

საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“ 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) **შეუთანხმებლად აკრძალულია** ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე